1968/3

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 5 (340)

1969 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (340) მაისი 1969 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

95. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.
96. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
97. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ვ. გოგოხიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
98. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
99. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ.
100. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების განხილვის მდგომარეობის შესახებ.
101. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების სოფლის, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნის წესის შეცვლის შესახებ.
102. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1970 წლის მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გარდაქმნათა დროებით შეწყვეტის შესახებ.

11.030

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

103. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ფ. კოლოსოვის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

104. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

105. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოქანდაკე ა. ვ. ნიმენკოსათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

106. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ქ. ახალაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

107. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. დათეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

108. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ გ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

109. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ა. ქათამაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

110. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ს. ჯავახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ქუჩულორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ ფ. პ. სტეპჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „არშალუისის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. შაკრილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

117. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სსრ მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.**

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

95 ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე გასვლის გამო, საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1969 წლის 25 მაისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

96 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1969 წლის 11 ივნისს ქალაქ თბილისში.

სესიას განსახილველად წარედგინოს შემდეგი საკითხები:

1. რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივი კომისიების ანგარიშები.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

97 ამხ. დ. ვ. გოგოგბიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. დამიანე ვლადიმერის ძე **გოგოხია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 15 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

98 ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. ზურაბ გიორგის ძე **ახვლედიანი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 15 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

99 რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ამხ. მ. ფ. ჩხეიძის მოხსენება, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ძირითადად დამაკმაყოფილებლად სრულდება ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა წარმოებაში უახლესი ტექნიკის დასანერგად, წარმოების კულტურის ასამაღლებლად, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის რიგ საწარმოში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის დარღვევას, სათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადოდ არ ზრუნავენ ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატსა და აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში უხეშად ირღვევა სიმძიმეების გადაზიდვის ქალებისათვის დადგენილი ნორმები.

ზოგიერთი საწარმოს ადმინისტრაცია უგულებელყოფს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს მოზარდი გოგონების შრომის პირობების შესახებ. მაგალითად, თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანში“ მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში თერთმეტმა მოზარდმა იმუშავა რვა-რვა საათი, მაშინ როდესაც მათ, ასაკის შესაბამისად, შვიდი, ექვსი და ხუთი საათი უნდა ემუშავათ. ადგილი ქონდა აგრეთვე შემთხვევებს, როდესაც საწარმოს მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღეების ნაცვლად ქალებს ამუშავებდნენ დასვენების დღეებში, ხოლო შრომის ანაზღაურებას აწარმოებდნენ კანონის დარღვევით.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საწარმოო სანიტარიის ნორმების დაცვას. გორის ბამბეულის კომბინატის და ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანის“ რიგ საამქროში არსებული სვენტილაციო დანადგარები ვერ უზრუნველყოფენ სამუშაო უბნებზე ჰაერის ნორმალურ ცირკულაციას. ელექტრომეურნეობის მოუწესრიგებლობის გამო სუსტადაა განათებული სამუშაო ადგილები გორის ბამბეულის კომბინატის ზოგიერთ საამქროსა და უბანში.

საწარმოებში ცოტაა ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახები. მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმის, გორის ბამბეულისა და თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატებში ასეთი ოთახები ნორმით გათვალისწინებულზე ორჯერ ნაკლებია, ამასთან მათი ნაწილი უწესივრო მდგომარეობაშია ნაწილი კი ღამის ცვლაში არ მუშაობს. არასაკმარისია აგრეთვე პირსაბანებისა და სველი წერტილების რაოდენობა.

მთელ რიგ საწარმოთა საბავშვო ბაღები და ბაგები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. მაგალითად, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საბავშვო ბაღი, რომელიც 100 ბავშვისათვისაა გათვალისწინებული, ფაქტიურად ორჯერ მეტს ემსახურება, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღი ასევე ძალზე გადატვირთულია და ამასთან მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, მცირე და ნესტიან შენობაშია მოთავსებული თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საბავშვო ბაღი. აღნიშნულ საბავშვო ბაღებში ვერ ხერხდება ბავშვების დღისით დაძინება. ყოველივე ეს აძნელებს სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას.

საწარმოებში ცუდადაა ორგანიზებული ღამის ცვლაში მომუშავე ქალების ტრანსპორტით მომსახურების საქმე. ნაკლოვანებებია აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაობაშიც.

ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად განაპირობებენ იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში მუშა ქალების დიდი დენადობაა და იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა. ამ საწარმოთა ხელმძღვანელები პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ჯერ კიდევ საკმაო ღონისძიებებს არ ახორციელებენ არსებულ ნაკლოვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებათა აღმოსაფხვრელად. სათანადო ყურადღება არ ექცევა ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხების პროპაგანდას.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ იმას, თუ როგორ სრულდება ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობა, ნაკლებ დახმარებას უწევენ საწარმოებს ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყოს ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მისდამი დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულებებში, ამ მიზნით:

ა) გააძლიეროს კონტროლი საქვეუწყებო წარმოება-დაწესებულებებში ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებაზე. აამაღლოს წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის, საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა შესრულების საქმეში;

ბ) განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებანი საკენტილაციო დანადგარების წესრიგში მოსაყვანად და სამუშაო ადგილების განათებისათვის;

გ) მიიღოს გადამჭრელი ზომები წარმოებაში ქალებისათვის ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესაქმნელად, კერძოდ, უზრუნველყოს ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახების, საშხაპეებისა და პირსაბანების მოწყობა დაწესებული ნორმების მიხედვით.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი მსუბუქი მრეწველობის წარმოება-დაწესებულებებში საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში გააძლიერონ სამედიცინო და სანიტარული კონტროლი; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბავშვო ბაღებისა და ბაგების მუშაობის გაუმჯობესებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ წარმოება-დაწესებულებებში ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა, ამ საქმეში ფართოდ ჩაებან საბჭოს მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი;

ბ) ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ წარმოება-დაწესებულებებს ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, დროულად განიხილონ და გადაჭრან საერთო საცხოვრებლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხები.

5. საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ გააძლიეროს პროფკავშირების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობა იმ მიმართებით, რომ ზუსტად სრულდებოდეს ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობა.

6. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებაზე, მკაცრი პასუხი მოსთხოვოს იმ ხელმძღვანელთ, რომელნიც დაუდეგრად ეკიდებიან ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებას და მათი შრომის პირობების გაუმჯობესებას.

7. რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და უწყებამ განიხილოს ეს დადგენილება და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სააეტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და ქ. თბილისს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილონ ქ. თბილისში მდებარე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების საკითხი.

9. ეთხოვოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს განიხილოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისათვის დამატებითი ტრანსპორტის გამოყოფის შესაძლებლობის საკითხი.

10. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ამ დადგენილების შესრულების შედეგების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის ბოლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 28 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

100 რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებას უთმობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების აღრიცხვას, განხილვასა და შესრულებას, მუდმივ კომისიებს დროულად აწვდიან ინფორმაციას მიღებული ზომების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის წინადადებათა განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ გაატარა ღონისძიებანი მისი სისტემის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად; კერძოდ, აღნიშნული საკითხი განიხილა კოლეგიის სხდომაზე და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე, ადმინისტრაციული სასჯელი დაადო ზოგიერთი საწარმოს ხელმძღ-
ვანელ მუშაკს წუნდებული პროდუქციის გამოშვებისათვის.

სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების ერთობ-
ლივი რეკომენდაციების საფუძველზე გარკვეული მუშაობა ჩატარდა ნიადაგის
ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1968 წელს კოლმეურნეობებსა და საბ-
ჭოთა მეურნეობებში 1540 ჰექტარზე გაშენდა ქარსაცავი ზოლი, ეროზიის საწი-
ნააღმდეგო ნარგავებმა კი 1168 ჰექტარი ფართობი დაიკავა.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის წინადადების
შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საავტომობილო ტრანსპო-
რტის სამინისტროს 1968 წელს გაუდიდა სათადარიგო ნაწილების ფონდი.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის რეკომენდაციათა შესაბამისად საქართველოს
სსრ ფინანსთა სამინისტრომ და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბ-
ჭოების აღმასკომებმა გაუმჯობესეს ადგილობრივი ბიუჯეტის ჯარბი შემოსავ-
ლების მიზანდასახულად გამოყენების საქმე.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამი-
ნისტრომ შესაბამისი მუდმივი კომისიის წინადადებით გორის რაიონის მოსახ-
ლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გამოუყო სატვირთო
ავტომანქანა, მექანიზებული სახელოსნო, 15 საპარიკმახერო სავარძელი; საქა-
ართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კოლეგიის სხდომაზე განი-
ხილა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა მონაწილეობის საკითხი
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობაში და
დასახა რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნ-
ველყოფის მუდმივი კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე რიგ ქალაქსა და
რაიონში მოწესრიგდა ბავშვთა დისპანსერიზაციისა და სამკურნალო დაწესებუ-
ლებათა მედიკამენტებით მომარაგების საქმე.

კულტურის მუდმივი კომისიის რჩევით საქართველოს სსრ კულტურის სა-
მინისტრომ ძეგლთა სარესტავრაციო უბნები შექმნა თბილისში, გორში, ანანურ-
სა და ოჩამჩირეში; მიმდინარე წელს ჩატარდება ვანის არქიტექტურული ძეგლი-
სა და ბიუვინთის ნაქალაქარის დაცვა-გამაგრებითი სამუშაოები.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის წინადადებით
რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და განახორციელეს ღო-
ნისძიებანი სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის გასაუმჯობესე-
ბლად.

ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის რჩევით საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭომ დაამტკიცა დებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების
შესახებ". ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებიდან 815 ჰექტარი ტყის ფარ-
თობი გადაეცა ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმარ-
თველოს.

სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადებით
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ გაითვალის-
წინა ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუტის ექსპერიმენტული ბაზის გაფართოება. სსრ კავშირის დაზგათმშენებლობისა და ინსტრუმენტალური მრეწველობის სამინისტრომ 1971-1975 წლების კაპიტალური მშენებლობის გეგმის პროექტში გაითვალისწინა მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის საწარმოო-ექსპერიმენტალური ბაზის მშენებლობა.

ამავე დროს, ზოგიერთი სამინისტრო და უწყება დროულად არ განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მიერ დაყენებულ საკითხებს, სათანადო კონტროლი არაა დაწესებული მათი შესრულების მიმდინარეობაზე, არ ხდება მუდმივი კომისიების წინადადებებისა და რეკომენდაციების აღრიცხვა და რეგისტრაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების შესაბამისად (მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროები და „ცეკავშირი").

ცალკეული სამინისტროები და უწყებები ზოგჯერ არღვევენ მუდმივი კომისიებისათვის ინფორმაციის წარდგენის ვადებს.

მაგალითად, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიისათვის დღემდე არ წარუდგენია ინფორმაცია „ტურისტულ ტრასებზე საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის შესახებ" კომისიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

„ცეკავშირის" გამგეობას არ წარმოუდგენია ინფორმაცია სავაჭრო ორგანიზაციებში ქალთა შრომის გამოყენების და სამკურნალო მინერალური წყლებით ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ.

სამინისტროები და უწყებები, როგორც წესი, კომისიების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისას არ იწვევენ მუდმივი კომისიების წარმომადგენლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დავალოს საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

ა) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული წესით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების შესახებ;

ბ) განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ მუდმივი კომისიების წინადადებათა და რეკომენდაციების განხილვა-შესრულებისადმი, საფუძვლიანად შეისწავლონ ყოველი წინადადება და რეკომენდაცია, განიხილონ ისინი პირადად და შესრულების შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ აცნობონ მუდმივ კომისიებს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა ან კომისიის მიერ დადგენილ დროში;

გ) ცალკეულ შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით, კომისიების წევრ დეპუტატთა მონაწილეობით კოლეგიების სხდომებზე განიხილონ მუდმივი კომისიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიერ დაყენებული საკითხები და, აგრეთვე, კომისიების რეკომენდაციათა შესრულების მიმდინარეობა.

2. დაევალოს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების დროულად შესწავლა-განხილვის საქმეს; მიიღონ სათანადო ზომები მათ შესასრულებლად.

3. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს სათანადო კონტროლი დაწესონ მათ მიერ სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში დაყენებულ საკითხთა შესრულების მიმდინარეობაზე. პერიოდულად მოისმინონ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები მათი წინადადებებისა და რეკომენდაციების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ. ამასთან, ამ საქმეში ფართოდ ჩაებან სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, ადგილობრივი საბჭოები, მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბეგეჩაძე.

ქ. თბილისი, 1969 წლის 28 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

101 მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნის წესის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებს ქმნის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამტკიცებით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებს ქმნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოები რაიონის, ქალაქის მეურნეობის პირობებისა და თავისებურებების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამტკიცებით.

2. ეს ბრძანებულება და წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 81-ე, 102-ე და 104-ე მუხლებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბეგეჩაძე.

ქ. თბილისი, 1969 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

102 1970 წლის მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გარდაქმნათა დროებით შეწყვეტის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 28 აპრილის დადგენილების „1970 წლის მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გარდაქმნათა დროებით შეწყვეტის შესახებ" შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით, 1969 წლის 1 ივლისიდან 1970 წლის 1 მაისამდე, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეწყდეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გარდაქმნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 28 მაისი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

103 ამხ. გ. ფ. კოლოსოვის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ნაწილის უმცროსი სერჟანტი-გენადი ფრიდრიხის ძე **კოლოსოვი** დაჯილდოვდეს **მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის".**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 28 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

104 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

კომუნისტური შრომის მოძრაობაში მოპოვებული წარმატებებისა და ქ. თბილისის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საპატიო წოდება:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

ოგანეზ მაკარის ძე **ბეჟანოვს** — ცხიმკომბინატის მთავარ მექანიკოსს.

ნიკოლოზ ვლადიმერის ძე **ბორჩხაძეს** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მეტალკონსტრუქციების ქარხნის დირექტორს.

დავარ ბეგლარის ასულ **კოზმავას** — პლასტმასის ნაკეთობათა ფაბრიკის ტექნიკური განყოფილების უფროსს.

ნიკოლოზ ვალენტინის ძე **ფილიმონოვს** — ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის უფროს ინჟინერს.

გიორგი ნიკოლოზის ძე **ხოჭოლავას** — ს. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მთავარი ტექნოლოგის მოადგილეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის:

ნიკოლოზ სერგის ძე **დიდუსენკოს** — ქარხანა „პლასტმასის“ მთავარ ეკონომისტს.

მელიტა მიხეილის ასულ **რევაზიშვილს** — მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მთავარ ეკონომისტს.

საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის

მარია სერგის ასულ **ალექსანდროვას** — 27-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის:

ვასილ სიმონის ძე **იაშვილს** — 35-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ოსტატს.

ნინა სევასტიანეს ასულ **კაკაურიძეს** — 36-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ოსტატს.

ალექსანდრე ნასყიდას ძე **ნონიკაშვილს** — მე-6 პროფტექნიკური სასწავლებლის ოსტატს.

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის:

ქამილ კონსტანტინეს ძე **ორაგველიძეს** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნისა და სკბ-ს გაერთიანებული საპატენტო ბიუროს უფროსს.

სულიკო კოზმას ძე **თარგამაძეს** — ს. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მომნიშვნელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის:

გივი ივანეს ძე **აბიაშვილს** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ზეინკალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსეფ გიორგის ძე **გაბიტაშვილს** — ქარხანა „ელექტროგამშვების“ ზეინკალს.

ვასილ ნიკოლოზის ძე **გულიაშვილს** — საკონდიტრო ფაბრიკა „საამოს“ ზეინკალს.

ნოდარ ალექსანდრეს ძე **ძიძიგურს** — № 2 თამბაქოს ფაბრიკის შემანქანე-მომწესრიგებელს.

ნიკიტა დიმიტრის ძე **კაპლიევს** — № 1 საავეჯო ფაბრიკის ხარატს.

ილია ლავრენტის ძე **ლაიშვილს** — კამოს სახელობის სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა ქარხნის ზეინკალს.

თამაზ იასონის ძე **მახარობლიძეს** — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალს.

ალექსანდრე ანტონის ძე **ფეიქრიშვილს** — № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მექანიკოსს.

ვიქტორ ნიკოლოზის ძე **რაკოვენკოს** — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალს.

შალვა ილიას ძე **ხუციშვილს** — ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოს“ ზეინკალს.

ოთარ სიმონის ძე **ჩისლაძეს**— გრეხილი ავეჯის ფაბრიკის საამქროს უფროსს.

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის:

მაქსიმე სიმონის ძე **კვახაძეს** — ქალაქ თბილისის კალინინის სახელობის რაიონული საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ოსტატს — მესაათეს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის:

დიმიტრი ილიას ძე **საბანაძეს** — რესტორან „ისინდის“ მზარეულს.

ანასტასია ანტონის ასულ **ჭოხონელიძეს** — თბილისის ცენტრალური უნივერმაღის № 2 ფილიალის გამყიდველს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის:

არსენ დიმიტრის ძე **ბედოშვილს** — „მთავართბილმშენის“ № 9 სამშენებლო სამმართველოს ქვის მთლელს.

გრიგოლ დიმიტრის ძე **გაწერელიას** — „მთავართბილმშენის“ № 4 სამშენებლო სამმართველოს მებეტონეს.

ალექსი ნიკოლოზის ძე **თადიაშვილს** — ტრესტ „თბილმრეწვმშენის“ № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მებათქაშეთა ბრიგადირს.

კუზმა ვასილის ძე **ლუბავსკის** — „თბილგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანს.

მიხეილ გიორგის ძე **მამულაშვილს** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს მებეტონეს.

სერგი სტეფანეს ძე **მანუკოვს** — ტრესტ № 10 „მაღალმშენის“ № 4 სამშენებლო სამმართველოს დურგალს.

სერგი დიმიტრის ძე **მაისურაძეს** — „მთავართბილმშენის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს დურგალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიმოთე ვასილის ძე ტრუნოვს — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს დურგალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 16 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

105 მოქანდაკე ა. ვ. ნიმენკოსათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მოქანდაკე ანდრია ვასილის ძე ნიმენკოს, დავით გურამიშვილის ძეგლის ავტორს ქ. მირგოროდში (უკრაინის სსრ), მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

106 ამხ. დ. ჭ. ახალაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილების უფროსი ამხ. დავით ქუთარის ძე **ახალაია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

107 ამხ. გ.გ. დათეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩარხმშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატუტის „პტნიიმე“-ს დირექტორის მოადგილე ამხ. გივი გრიგოლის ძე **დარ-თეშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

108 პროფესორ გ. ა. კვაშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი გიორგი ალექსის ძე **კვაშაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

11.030

თბილისი, 1969 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

109 ამხ. ტ. ა. ქათამაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საავტომობილო გზების მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ **საავტომობილო** გზების სამინისტროს № 2 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ამხ. ტერენტი არქიპოს ძე **ქათამაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით;**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

110 ამხ. ნ. ს. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით, „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ სტეფანეს ძე ჯავახიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ᲒᲐ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ᲗᲐ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ.

თბილისი, 1969 წლის 8 მაისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

111 ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის დაარსების ას ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

იასე თეოდორეს ძე **ᲑᲐᲠᲗᲝᲨᲕᲘᲚᲘ** — ღრუბელთა ფიზიკისა და აქტიური ზემოქმედების ლაბორატორიის უფროსი.

შალვა გრიგოლის ძე **ᲒᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — ლაბორატორიის უფროსი.

ელენე რომანოზის ასული **ᲓᲕᲐᲚᲘ** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ილარიონ თეოფანეს ძე **ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ** — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

ანტონინა სიმონის ასული **ᲙᲚᲝᲚᲔᲡᲜᲘᲙᲝᲕᲐ** — უფროსი ტექნიკოსი.

რუსუდან სერაპიონის ასული **ᲙᲝᲠᲫᲐᲮᲘᲐ** — მეცნიერი თანამშრომელი.

ვასილ პავლეს ძე **ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ** — ინსტიტუტის დირექტორი.

კონსტანტინე იოსების ძე **ᲞᲐᲞᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — სინოპტიკურ გამოკვლევათა და პროგნოზების განყოფილების უფროსი.

გრიგოლ დანიელის ძე **ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲫᲕᲘ** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ნიკოლოზ პავლეს ძე **ᲡᲢᲝᲚᲘᲞᲘᲜᲘ** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

იოსებ გიორგის ძე **ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘ** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

გურამ დიმიტრის ძე **ᲩᲘᲙᲕᲐᲘᲫᲔ** — მელიორაციული ჰიდროლოგიის განყოფილების უფროსი.

შალვა ივანეს ძე **ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ** — აგრომეტეოროლოგიური განყოფილების უფროსი.

ვასილ შარვანის ძე **ᲪᲝᲛᲐᲘᲐ** — გლაციოლოგიის სექტორის უფროსი.

იასონ ალექსის ძე **ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ** — კლიმატოლოგიისა და აეროლოგიის განყოფილების უფროსი.

გიორგი იოსების ძე **ᲭᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ილიას ძე **ხერხეულიძე** — ღვარცოფულ ნაკადთა და მდინარეთა კალაპოტის პროცესების სექტორის უფროსი.

გრიგოლ ნიკოლოზის ძე **ხმალაძე** — ჰიდროლოგიურ გამოკვლევათა და პროგნოზების განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1969 წლის 13 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

112 ამხ. ვ. ვ. ჟუჩულორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი ამხ. ვიქტორ ვლადიმერის ძე **ჟუჩულორია** საქართველოს **სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1969 წლის 14 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

113 გენერალ-პოლკოვნიკ თ. პ. სტეპჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისა და მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი თეოდორე პეტრეს ძე **სტეპჩენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1969 წლის 15 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

114 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური შრომის მოძრაობაში მოპოვებული წარმატებებისა და ქალაქ თბილისის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. არტაშ ნიკოლოზის ძე **ბეგიჯანოვი** — № 4 მექანიკური ქარხნის ზეინკალი.
2. კარაპეტ ალექსის ძე **ბუნიატოვი** — № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა.
3. შალვა ალექსის ძე **გობინაშვილი** — ტრესტ „ინჟმშენის“ საგზაო მშენებლობის სამმართველოს ზეინკალი.
4. ლევან დიმიტრის ძე **გოგიჩაძე** — სახეხი ჩარხების ქარხნის დირექტორი.
5. ნიკოლოზ მიხეილის ძე **ემელიანოვი** — ქარხანა „გაზოაპარატის“ ზეინკალი.
6. შოთა ნიკოლოზის ძე **ვეშაპიძე** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საამქროს უფროსი.
7. სიკო იაგორის ძე **ვეშაპიძე** — კერამიკული კომბინატის მუშა.
8. ვასილ ივანეს ძე **ზამულენკო** — სახეხი ჩარხების ქარხნის მჭედელი.
9. სარქის სტრაპიონის ძე **თათევოსიანი** — „მთავართბილმშენის“ № 1 სამშენებლო სამმართველოს მღებავი.
10. ალექსანდრე ვასილის ძე **თექაძე** — კალინინის სახელობის ქარხნის სხმული მოწყობილობის მემოდელე.
11. მარიამ ზაქარიას ასული **კვიცაძე** — № 6 სამკერვალო ფაბრიკის ინსტრუქტორი.
12. გივი ზურაბის ძე **მარღანია** — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი.
13. ვართან ლაზარეს ძე **მარქაროვი** — სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის მექანიკოსი.
14. გიორგი ალექსანდრეს ძე **მღებრიშვილი** — ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოს“ ზეინკალი.
15 ნინო დომენტის ასული **ოდილავაძე** — აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ბრიგადირი.
16. ანა ვასილის ასული **პაპიაშვილი** — № 7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი.
17. ივანე გაბრიელის ძე **სავინკოვი** — „მთავართბილმშენის“ № 1 სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე.
18. გრიგოლ კარპეს ძე **სახელაშვილი** — ქარხანა „თბილსოფლმანქანის“ ხარატი.
19. მიხეილ დავითის ძე **უგრეხელიძე** — ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის მბეჭდავი.
20. ნინო ვასილის ასული **ღვინაძე-ჩლაიძე** — № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. ეკატერინე მიხეილის ასული **ჩაგელიშვილი** — № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი.

22. კონსტანტინე დავითის ძე **ჩაუჩიძე** — № 2652 ავტოკოლონის ზენიკალი,

23. შოთა ილიას ძე **ხვადაგიანი** — № 20 ავტოსატრანსპორტო კონტორის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 16 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

115 გაზეთ „არშალუისის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების ოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო — გაზეთი „არშალუისი" დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 26 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

116 ამხ. კ. ს. შაკრილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. კონსტანტინე სიმონის ძე **შაკრილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 29 მაისი.

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

117 უკრაინის სსრ მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოძმე უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების ხალხთა კულტურების ურთიერთკავშირის განმტკიცებაში მოპოვებული დამსახურებისათვის და უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ლეონიდე სერგის ძე **ბოიკო.**
2. დიოდორ ნიკოლოზის ძე **ბობირი**
3. ივანე ივანეს ძე **გონჩარენკო.**
4. ლეონიდე ნიკიფორეს ძე **გორლაჩი (კოვალენკო)**
5. პლატონ ნიკიტას ძე **ვორონკო**
6. რომან მარიანის ძე **ლუბკივსკი**
7. ვლადიმერ ივანეს ძე **ლუჩუკი**
8. ანდრია სამოილის ძე **მალიშკო.**
9. მიკოლა ლევის ძე **ნაგნიბედა.**
10. მიკოლა ნაუმის ძე **ობეზიუკი.**
11. ლეონიდე სოლომონის ძე **პერვომაისკი.**
12. ვალენტინ კონსტინტინეს ძე **უიგულინი**
13. ოლექსა პანტელეის ძე **სინიჩენკო.**
14. პავლე მაქსიმეს ძე **ფედჩენკო.**
15. სტეფანია მიხეილის ასული **შაბატური.**
16. ვასილ სტეფანეს ძე **შვეცი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი 1969 წლის 30 მაისი.

განკოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 28 მაისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვა 735 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისი	5
ქ. რუსთავი	8
ქ. ჭიათურა	25

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბროლაურის	რაიონი	3
ახალქალაქის	„	13
ბოგდანოვკის	„	6
ბოლნისის	„	84
გარდაბნის	„	91
დმანისის	„	165
ზუგდიდის	„	22
თეთრი წყაროს	„	20
თელავის	„	1
კასპის	„	10
ლაგოდეხის	„	20
ლანჩხუთის	„	5
მაიაკოვსკის	„	7
მარნეულის	„	110
მახარაძის	„	19
მცხეთის	„	8
საჩხერის	„	11
სიღნაღის	„	6
ჩოხატაურის	„	2
ცხაკაიას	„	16
წალენჯიხის	„	10
წალკის	„	28
წულუკიძის	„	5
ხაშურის	„	7
ხობის	„	13
სამხრეთ ოსეთის ა/ო		13

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 28 მაისის ბრძანებულებით გაუქმდა დუშეთის რაიონის მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს სოფელი ყოფჩა, უკანაფშავის სასოფლო საბჭოს სოფლები ჭიჩო, არახინჯა, ვანხევი და ხაშურის რაიონის ცხრამუხის სასოფლო საბჭოს სოფელი კოდისწყარო მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.